ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
,,ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი
მუნიციპალური ცენტრი“

აუდიტორული ანგარიში

(01.01.2019– 01.06.2021)

ეგზავნება:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
მერს

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

ივლისი 2021 წ.

სარჩევი

I.შესავალი ----------3

1. ზოგადი ნაწილი ----------3

2. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ----------3

II. ძირითადი რისკები ----------4

III. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები ----------5

IV. დეტალურიინფორმაცია აღმოჩენილი ფაქტების შესახებ ----------5

V. რეკომენდაციები ----------9

პასუხისმგებელი პირები ---------- 10

ხელმოწერები----------10

I. შესავალი

1. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი--ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 2 თებერვლის N№22.22210334 ბრძანება.

შიდა აუდიტის ობიექტი -- ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი".

აუდიტის პერიოდი -- 2019 წლის 1იანვრიდან 2021 წლის 1 ივნისამდე.

აუდიტის ჩატარების ვადა -- 2021 წლის 14 ივნისიდან 2021 წლის 9 ივლისის ჩათვლით.

შიდა აუდიტის ამოცანა:

1. საანგარიშო პერიოდში ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუნიციპალურ ცენტრ"-ში ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საოფისე, სახელფასო, საპრემიო და სხვა ხარჯების ორგანიზების განხორციელების შედეგად გაწეული მუშაობის შესწავლა.
2. ცენტრის მატერიალურ ფასეულობებზე ფულადი სახსრების ხარჯვის, დაფინანსების წყაროების, ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სუბსიდიების და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავლების მიზნობრიობა, გამოყენების კანონიერება, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება.
3. ცენტრის უძრავი და მოძრავი ქონების შესახებ გადაწყვეტილებების მომზადებისა და განკარგულებების შესწავლა.
4. ცენტრის მიერ კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტების, მათ შორის წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესწავლა.

2. შესამოწმებელ პერიოდში ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი"-ს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ,,ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი" (შემდგომში ცენტრი), არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ცენტრის დამფუძნებელია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 430026802 და შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. 2013 წლის 12 მარტიდან ცენტრის დირექტორია გურამ კაკოიშვილი (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 12 მარტის N121 ბრძანება), მთ. ბუღალტერი – ქეთევან კირკიტაძე (ცენტრის 2013 წლის 19 მარტის N 2 ბრძანება). ცენტრი დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 2013 წლის 15 მარტს, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 32.10.37.042. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ბოლოს მომზადებულია 2017 წლის 9 მარტს, საიდანაც ირკვევა, რომ არავითარი გირავნობა/იპოთეკა და ყადაღა/აკრძალვა ცენტრს არ ერიცხება.

ცენტრს უზურფრუქტის წესით საკრებულოს 2013 წლის 16 აპრილის №80 ბრძანებით გადაეცა ზესტაფონში, რუსთაველის ქ.N1ა–ში მდებარე შენობა-ნაგებობა საბალანსო ღირებულებით 2,5 მილიონი ლარი, ასევე მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 4504 კვ.მ.

ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საკრებულოსა და მერიის დებულებებისა და საკუთარი წესდების საფუძველზე. ცენტრის საქმიანობა, მიზნებიდან გამომდინარე, ვრცელდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

ცენტრს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი: დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი და ხაზინის ერთიანი ანგარიშები. ცენტრზე კონტროლს ანხორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი, იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ზესტაფონი,რუსთაველის ქ.N 1ა.

ცენტრის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი, საკუთარი შემოსავლები და ასევე გრანტები ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული ა.(ა).ი.პ. „საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდი“-დან.

ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

ა) სპორტის განვითარება, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება და თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა.

ბ) სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა მიხედვით ძირითადი მიმართულებების შემუშავება და განხორციელება.

გ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

დ) მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტული განვითარების მიზნით, მუნიციპალური პროგრამების, გეგმების შემუშავება და განხორციელება.

ე) სპორტის სახეობათა მიხედვით სპორტული გუნდების, ჯგუფების, სექციების შექმნა და მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირებში, შეჯიბრებებში, ოლიმპიადებში და სხვა სახის ღონისძიებებში.

ვ) სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით სპორტული შეჯიბრებების, სასწავლო-საწრთვნელი შეკრებების მოწყობა,

ზ) სპორტულ-ნაგებობათა და სპორტული ბაზების ეფექტიანი გამოყენება და მოვლა-პატრონობა.

II. <u>ძირითადი რისკები</u>

ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განხორციელების დროს დაშვებულმა შეცდომებმა, შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების დადგენაზე, გამოუყენებელი აქტივების გამოვლენაზე, არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვაზე, ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალობის დადგენაზე. ასევე, აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტიური ნაშთებისა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემების შედარების სისწორეზე.

წლიური ხარჯთაღრიცხვების არასწორად დაგეგმვამ და არათანაბრად ხარჯვამ, შესაძლებელია გამოიწვიოს ცენტრის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შეფერხება, რაც უარყოფითად იმოქმედებს ცენტრის მიზნების მიღწევაზე.

მოქმედი კანონმდებლობის გაუთვალისწინებლად განხორციელებულმა საბუღალტრო დოკუმენტების წარმოებამ, არაფინანსური აქტივების შენახვასა და ხარჯვაზე დოკუმენტების გაფორმების სისწორის დაუცველობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ მცდარი ინფორმაციის ჩამოყალიბება.

ცენტრის მიერ, საკუთარი თანხების ხარჯვის არასწორმა დაგეგმამ, შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნობრიობასა და კანონიერებაზე.

III. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები

წინა აუდიტორული შემოწმება ცენტრში ჩატარებულია ჩვენი სამსახურის მიერ 2019 წლის მარტში, რომელმაც მოიცვა პერიოდი 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე. აუდიტორულ დასკვნაში გამოთქმული შენიშვნები საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ ძირითადად გათვალისწინებულია. რაც შეეხება წინამდებარე ანგარიშში მოყვანილ აუდიტორულ აღმოჩენებს:

- შესაცვლელია ცენტრის წესდება, რომელიც დამტკიცებულია 2014 წელს ზესტაფონის გამგეობის მიერ.
- ცენტრში ახლადმიღებულ სპეციალისტების პირად საქმეებში არ დევს განათლების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი.
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში დაშვებულია რამდენიმე სახის დარღვევა.
- დასაკორექტირებელია 2019 წლის მარტის თვის საშემოსავლო გადასახადის, ასევე ქონებისა და მიწის გადასახადის 2019 და 2020 წლების დეკლარაციები.
-არაა ყველა ბავშვის პირადი საქმე მოწესრიგებული;

IV. დეტალური ინფორმაცია აღმოჩენილი ფაქტების შესახებ

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მალხაზ კურცხალიას და მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მიხეილ ბრეგვაძის მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულებისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 2 თებერვლის №22.22210334 ბრძანების საფუძველზე, ცენტრში ჩატარდა 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივნისამდე პერიოდის გეგმიური აუდიტორული შემოწმება.

შემოწმებას ესწრებოდნენ და სათანადო ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ ცენტრის დირექტორი გურამ კაკოიშვილი და მთ. ბუღალტერი ქეთევან კირკიტაძე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუნიციპალურ ცენტრ“-ში ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე,ორგანიზაციის საშტატო ნუსხის, პირადი საქმეებისა და შიდასამართლებრივი აქტების წარმოების აუდიტი.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ცენტრის საშტატო რიცხოვნობა მუდმივ ზრდას განიცდიდა. 2018 წელთან შედარებით დღემდე დაემატათ 9 საშტატო ერთეული (იყო 41 და გახდა 50 შტატი), აქედან 7 მწვრთნელის და 2 სპეციალისტის შტატი, თუმცა ბავშვთა კონტიგენტის საგრძნობი ზრდა საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა. 50 შტატიდან ტექპერსონალს უკავია 15 შტატი, 22 შტატი - მწვრთნელ-მასწავლებელს და 13 შტატზე ამპუტანტი ფეხბურთელებია.

ცენტრის მოქმედი წესდება 2014 წელსაა დამტკიცებული და საჭიროებს განახლებას იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც უკავშირდება 2018 წელს მუნიციპალიტეტში მომხდარ რეფორმებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის 2021 წლის 17 ივნისს N52-222116846 წერილი გაგზავნილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში.

ცენტრში თანამშრომელთა პირად საქმეებს, ბრძანებების წიგნს, შემოსული და გასული კორესპონდენციების ჟურნალს აწარმოებს მთავარი სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში. ზოგიერთი სპეციალისტის პირად საქმეში მათი განათლების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ დევს. ბავშვების პირადი საქმეები ინახება შესაბამის მწვრთნელებთან. ირკვევა, რომ ბავშვების ნაწილის პირადი საქმეებიც მოუწესრიგებელია, რაზედაც მიეცათ სათანადო მითითება.

ცენტრის თანამშრომელთათვის შემოღებულია და იწარმოება სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის (ე.წ. წასვლა-მოსვლის) ჟურნალი, თუმცა მასში ხშირად ხელს არ აწერს ზოგიერთი მუშაკი. ასეთი სახის დარღვევის გამო ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2019 წლის მარტში მიეცათ გაფრთხილება ცენტრის 7 თანამშრომელს და შეუმცირდათ საახალწლო პრემია.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის ბაზაზე არსებობს საფეხბურთო კლუბი „მარგვეთი-2006“, რომლის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული ა.(ა).ი.პ. “ფეხბურთის განვითარების ფონდის“ მიერ (შექმნილია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის № 107 დადგენილების საფუძველზე). კლუბის შენახვის ხარჯებზე კონტროლს ფონდი ანხორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების,შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადების აუდიტი

ცენტრი დარეგისტრირებულია სახელწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ გამარტივებული შესყიდვების მეშვეობით. ცენტრი შესყიდვების განხორციელებას ახდენდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მეშვეობით. შესყიდვები განხორციელებულია საკუთარი შემოსავლებით, გრანტით და ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებებით.

2019 წელს ცენტრის მიერ განხორციელდა 28 გამარტივებული შესყიდვა საერთო თანხით 45921,77 ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 21 შემთხვევაში თანხით 26838,24 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებით 7 შემთხვევაში 19083,53 ლარი. ცენტრის მიერ შესყიდვები ხშირ შემთხვევაში ხარვეზებითაა განხორციელებული, კერძოდ; არაა მესამე მოკვლევები 2019 წლის N5, N7, N8, N9, N10, N13, N14, N18, N20 და N26 ხელშეკრულებებზე; ინსპექტირება N5, N13, N25 და N28 ხელშეკრულებებზე მომხდარია საქონლისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების შემდეგ; არსებობს ორი N11 ხელშეკრულება; ხელშეკრულება N10 გაფორმებულია შეცდომით, რადგან ი/მ მიხეილ

ჭულუხაძის შეთავაზებული თანხა აღემატებოდა ი/მ ოთარი მიქაბერიძის მიერ შეთავაზებულ თანხას და ხელშეკრულება გაუფორმდა ი/მ მიხეილ ჭულუხაძეს; ხელშეკრულება N20-ის სახელშეკრულებო თანხა რადიკალურად განსხვავდება მოკვლევის თანხებისაგან, კერძოდ: მოკვლევის თანხა დაფიქსირებულია 400 ლარით და 650 ლარით, თუმცა ხელშეკრულება გაფორმებულია 100 ლარზე; N20 და N21 ხელშეკრულებებზე ინსპექტირების აქტები არასრულყოფილია, ვინაიდან მათზე ინსპექტირების კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა არ ფიქსირდება (დანართი N1).

2020 წელს ცენტრის მიერ 21 შემთხვევაში განხორციელდა გამარტივებული შესყიდვა საერთო თანხით 28011,2 ლარი. აქედან 12 შემთხვევაში სუბსიდიის თანხებით 9861,2 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებით 9 შემთხვევაში თანხით 18150 ლარი. ხარვეზების კუთხით მდგომარეობა ასეთია: ბაზრის კვლევა საერთოდ არაა განხორციელებული N8 ხელშეკრულებაზე; მესამე მოკვლევა არ აქვს N7,N18 და N21 ხელშეკრულებებს; N3, N4, N5, N9, N14 და N15 ხელშეკრულებებზე ინსპექტირება მოხდენილია საქონლის მიღება-ჩაბარების შემდეგ; არსებობს ორი N6 ხელშეკრულება; N8 ხელშეკრულებაში რამდენიმე სახის შეუსაბამობაა, კერძოდ: ხელშეკრულების წინა გვერდზე გაფორმების თარიღი მითითებულია 2020 წლის 6 ივლისი, ხოლო ხელშეკრულების ბოლო გვერდზე ელექტრონული ხელმოწერა მომხდარია 15 ივლისს; ასევე ხელშეკრულების 6.2 მუხლში მომსახურების მიწოდება იწყება 28 თებერვლიდან, ანუ ხელშეკრულების გაფორმებამდე 5 თვით ადრე; ასევე ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ხელწერილი შედგენილია 2020 წლის 21 იანვარს, ანუ ხელშეკრულების დადებამდე 6 თვით ადრე (დანართი N2).

2021 წლის 5 თვეში 11 შემთხვევაში განხორციელდა შესყიდვა საერთო თანხით 13574,2 ლარი, მ.შ. სუბსიდიით-10159,2 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებით-3415 ლარი. ხარვეზის კუთხით N8 და N9 ხელშეკრულებებზე ინსპექტირება მომხდარია საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ (დანართი N3).

შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის, ძირითადი აქტივების და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის შესაბამისობის აუდიტი

ცენტრის 2019 წლის ადგილობრივი სუბსიდიის ხარჯები დაგეგმილი იყო 292800 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში მოხდენილია როგორც შიგა მუხლობრივი ცვლილებები, ასევე ბიუჯეტის აბსოლუტური ზრდა 30800 ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 323600 ლარი. 2019 წლის გეგმის ფაქტიურმა შესრულებამ 322593,22 ლარი შეადგინა (დანართი N4).

ცენტრს ხაზინაში გააჩნია საკუთარი სახსრების ანგარიში, რომელზედაც ირიცხება როგორც ფეხბურთის კლუბის დასაფინანსებელი გრანტები, ასევე ცენტრის ეკონომიკური საქმიანობიდან (დარბაზის ქირა) შემოსული თანხები.

2019 წლის საკუთარი სახსრები დაიგეგმა 64900 ლარით. წლის განმავლობაში მოხდენილია მხოლოდ მუხლებს შორის ცვლილება. ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის ცენტრის საკუთარი სახსრების სახაზინო ანგარიშზე ფიქსირდება 9639,17 ლარი. 2019 წელს ცენტრის საკუთარმა შემოსავლებმა (გრანტის ჩათვლით) შეადგინა 58468 ლარი (დანართი N5), ფაქტიურად გაწეულია ხარჯები საკუთარი სახსრებიდან 62357,17 ლარი. აქედან გამომდინარე, ნაშთი წლის ბოლოსთვის ფიქსირდება 5750 ლარი (დანართი N6).

2020 წელს ადგილობრივი სუბსიდიის ხარჯები დაიგეგმა 350000 ლარის ოდენობით. აგვისტოს თვეში ცენტრს შეუმცირდა სუბსიდიის გეგმა 25000 ლარით და დაზუსტებული გეგმა

დარჩა 325000 ლარი, რომლის ათვისებამ 276769,66 ლარი შეადგინა. აუთვისებლობის მიზეზია გლობალური პანდემია (დანართი N7).

2020 წელს ცენტრის საკუთარი სახსრები დაიგეგმა 55750 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში მოხდენილია მხოლოდ შიდა მუხლობრივი ცვლილებები. ნაშთი საკუთარი სახსრების ანგარიშზე 2020 წლის 1 იანვრისთვის ფიქსირდება 5750 ლარი, ცენტრს 2020 წლის განმავლობაში ჩაერიცხა 52100 ლარი (დანართი N8), ხოლო ფაქტიურად დაიხარჯა საკუთარი სახსრებიდან 55750 ლარი და ნაშთმა 2020 წლის ბოლოსათვის შეადგინა 2100 ლარი (დანართი N9).

2021 წლის ადგილობრივი სუბსიდია დაიგეგმა 350000 ლარით, რომლის ფაქტიურმა ათვისებამ 5 თვეში 131646 ლარი შეადგინა (დანართი N10). 2021 წლის 1 ივნისის მდგომარეობით გეგმის კორექტირება, არც მუხლობრივი და არც აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით არ მომხდარა.

2021 წლის საკუთარი სახსრები დაიგეგმა 54100 ლარის ოდენობით. ხუთი თვის მონაცემებით მოხდა მხოლოდ ერთი შიდა მუხლობრივი ცვლილება. წინა წლის ნაშთი იყო 2100 ლარი, მიმდინარე წლის ხუთ თვეში შემოვიდა 23800 ლარი (დანართი N11), დაიხარჯა ხუთ თვეში 17868 ლარი და ნაშთი 2021 წლის 1 ივნისისათვის შეადგენს 8032 ლარს (დანართი N12).

რაც შეეხება ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებს: ცენტრს უფიქსირდება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და იგი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს წილობრივად გაანგარიშებული ქონებისა და მიწის გადასახადები და შესაბამისად წარადგინოს სავალდებულო დეკლარაციები.

ქონების გადასახადი, როგორც სპორტის დარგში საქმიანობისათვის, თანახმად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აგვისტოს N20 დადგენილებისა, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001 %-ს შეადგენს.

2019 წელს ქონების გადასახადი შეადგენს: 2532439,50*0,001%*0,8361%=0,21ლარს, სადაც 2532439,50 ლარი ცენტრის ძირითადი ქონების საშუალო წლიური ნარჩენი ღირებულებაა, 0,8361% კი საკუთარი შემოსავლების ხვედრითი წილი საერთო შემოსავლებში (დანართი N13).

2019 წლის მიწის გადასახადი შეადგენს: 4504*0.24*1.5*0,8361%=13,56 ლარს, სადაც 4504 კვ/მ. ცენტრის მიწის ნაკვეთის ფართობია, 0.24 საერთო რესპუბლიკური კოეფიციენტია, 1.5 - რაიონული დასაბეგრი კოეფიციენტია, 0,8361% კი ხვედრითი წილის მაჩვენებელია. ცენტრს შემოსავლების სამსახურში 2019 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია 0,21 ლარის ნაცვლად წარდგენილი აქვს 37 ლარი და მიწის გადასახადის დეკლარაცია 13,56 ლარის ნაცვლად წარდგენილი აქვს 18 ლარი. დასაკორექტირებელია 2019 წლის ქონებისა და მიწის გადასახადის დეკლარაციები (დანართი N13).

2020 წელს ქონების გადასახადი შეადგენს: 2502375,50*0,001%*0,7530%=0,19 ლარს, სადაც 2502375,50 ლარი ცენტრის ძირითადი ქონების საშუალო წლიური ნარჩენი ღირებულებაა, 0,7530% კი საკუთარი შემოსავლების ხვედრითი წილი საერთო შემოსავლებში (დანართი N14).

2020 წლის მიწის გადასახადი შეადგენს: 4504*0.24*1.5*0,7530%=12,21 ლარს, სადაც 4504 კვ/მ. ცენტრის მიწის ნაკვეთის ფართობია, 0.24 საერთო რესპუბლიკური კოეფიციენტია, 1.5 - რაიონული დასაბეგრი კოეფიციენტია, 0,7530% კი ხვედრითი წილის მაჩვენებელია. ცენტრს შემოსავლების სამსახურში 2020 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია 0,19 ლარის ნაცვლად წარდგენილი აქვს 36 ლარი და მიწის გადასახადის დეკლარაცია 12,21 ლარზე წარდგენილია სწორად. დასაკორექტირებელია 2020 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია (დანართი N14).

აუდიტის პროცესში გადამოწმდა შრომის ანაზღაურების გაცემისას და ფიზიკურ პირებზე სამუშაოს ანაზღაურებიდან დარიცხული საშემოსავლო გადასახადების გაანგარიშებისა და დაკავების საკითხი.

2019 წელს გაცემულ ხელფასზე 253196 ლარზე დაკავებულია და გადარიცხულია ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი 43477,43 ლარი, 2019 წლის მარტის თვის ხელფასიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის დეკლარცია 3182,84 ლარის ნაცვლად წარდგენილია 2994,64 ლარი, დასაკორექტირებელია 2019 წლის მარტის თვის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია (დანართი N15).

2019 წელს ფიზიკური პირის მიერ შესრულებული სამუშაოდან ანაზღაურებული 950 ლარიდან დაკავებულია და გადახდილი ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი 190 ლარი, საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები წარდეგნილია თავისდროულად (დანართი N16).

2020 წელს გაცემულ ხელფასზე 255847,20 ლარზე დაკავებულია და გადარიცხულია ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი 43862,05 ლარი, რომელზედაც საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები წარდგენილია თვეების მიხედვით დროულად და სწორად (დანართი N17).

2021 წლის ხუთ თვეში გაცემულ ხელფასზე 111765 ლარზე დაკავებულია და გადარიცხულია ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი 19156,94 ლარი, რომელზედაც საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები წარდგენილია თვეების მიხედვით დროულად და სწორად (დანართი N18).

საშემოსავლო გადასახადზე შეღავათით სარგებლობს 13-დან 10 ამპუტანტი ფეხბურთელი და ერთი დარაჯი. ყველა შეღავათით მოსარგებლე თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ ცენტრის ბუღალტერიაში შესაბამისი სამედიცინო ცნობები და შემოსავლების სამსახურიდან შეღავათით სარგებლობის დოკუმენტები.

ცენტრში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც ყოველწლიურად აღრიცხავს ცენტრის ბალანსზე რიცხულ ქონებას როგორც რაოდენობრივი, ასევე ვარგისიანობის თვალსაზრისით. 2018 წლის ინვენტარიზაციის აქტში არ იყო შეყვანილი ცენტრის შენობა-ნაგებობა, საკანალიზაციო ქსელი და გაზგაყვანილობა. როგორც 2019, ასევე 2020 წლის ინვენტარიზაციის მასალები სრულად მოიცავს ცენტრის როგორც ძირითად, ასევე მცირეფასიან აქტივებს.

V. <u>რეკომენდაციები</u>

1. ცენტრმა ბოლომდე მიიყვანოს წესდების განახლების საკითხი.
2. ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა უზრუნველყოს თანამშრომელთა პირადი საქმეების შევსება აუცილებელი დოკუმენტაციებით.
3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მკაცრად იქნას დაცული ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ: ბაზრის კვლევები ჩატარდეს მინიმუმ სამ პოტენციურ მომწოდებელთან; ინსპექტირების პროცესი წინ უნდა უსწრებდეს მიღება-ჩაბარებას; არ დაირღვეს ხელშეკრულებათა ნუმერაცია; ხელშეკრულება გაფორმდეს ნაკლები თანხის შემოთავაზებაზე; შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებაში მოცემული თარიღები შინაარსობრივად ერთმანეთთან.
4. დასაკორექტირებელია 2019 წლის მარტის თვის საშემოსავლო გადასახადის, ასევე ქონებისა და მიწის გადასახადის 2019 და 2020 წლის დეკლარაციები.
5. სრულად მოწესრიგდეს ბავშვების პირადი საქმეები (ჯანმრთელობის ცნობები, მშობელთა განცხადებები).

შიდა აუდიტის პერიოდში, ცენტრის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები არიან:

ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი"-სდირექტორი გურამ კაკოიშვილი (2013 წლის 12 მარტიდან), ცენტრის მთავარი ბუღალტერი ქეთევან კირკიტაძე (2013 წლის 19 მარტიდან).

დანართი: 20 ფურცელი.

აუდიტორთაჯგუფი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
სამსახურის მესამე რანგის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — მ. კურცხალია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
სამსახურის მესამე რანგის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — მ.ბრეგვაძე

აუდიტორულ ანგარიშს გავეცანი და ვეთანხმები:

ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის
სპორტულ-გამაჯანსაღებელი
მუნიციპალური ცენტრი"-ს დირექტორი — გ. კაკოიშვილი

მთავარი ბუღალტერი — ქ. კირკიტაძე